სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

აპრილი 2024

2024 წლის აპრილში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **154 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა **- 244 ლარი,** ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა **121 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აპრილში **431 ლარი** შეადგინა. თბილისში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 554 ლარი შეადგინა, კახეთში - 466 ლარი, აჭარაში - 428 ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 290 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2024 აპრილი, ლარი)



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2024 წლის აპრილში, 2024 წლის მარტთან შედარებით, 1.3%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი არ შეცვლილა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 4.1%-ით შემცირდა.

2024 წლის აპრილში, 2023 წლის აპრილთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 1.4%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი არ შეცვლილა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 4.1%-ით გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2024 აპრ/ 2024 მარ	2024 აპრ/ 2023 აპრ	2024 აპრ/ 2024 მარ	2024 აპრ/ 2023 აპრ	2024 აპრ/ 2024 მარ	2024 აპრ/ 2023 აპრ
კახეთი	1.4%	8.5%	2.0%	0.9%	1.2%	13.2%
იმერეთი	4.5%	3.9%	1.8%	11.0%	6.8%	-0.7%
გურია	-	5.4%	-	5.4%	-	-
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-
აჭარა	2.2%	4.6%	3.1%	7.3%	-10.4%	7.9%
რაჭა	-3.6%	1.9%	-	-	-3.6%	1.9%
შიდა ქართლი	-5.1%	16.2%	-7.7%	0.7%	-4.5%	27.9%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-5.7%	6.4%	-7.1%	3.0%	-4.1%	9.9%
სამცხე-ჯავახეთი	-4.4%	-4.3%	-2.7%	-23.2%	-5.7%	7.9%
მცხეთა-მთიანეთი	-14.4%	3.5%	-15.2%	1.9%	-13.5%	5.5%
თბილისი	3.3%	-0.6%	3.8%	-0.9%	-1.6%	5.9%
სულ ფასების % ცვლილება	**1.3%**	**1.4%**	**0.0%**	**0.0%**	**-4.1%**	**4.1%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2024 წლის აპრილში, 2024 წლის მარტის ფასებთან და 2023 წლის აპრილის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.